Maahanmuuttovirasto
Migrationsverket
Finnish Immigration Service

Euroopan unionin osarahoittama

თავშესაფრის შესახებ გასაუბრება

შენ მოწვეული ხარ მიგრაციის სამსახურში გასაუბრებაზე. ყურადღებით წაიკითხე ეს ინსტრუქცია, სადაც აღწერილია შენი უფლებები და ვალდებულებები გასაუბრების დროს. თუ ამ ინსტრუქციასთან დაკავშირებით რაიმე კითხვა გაგიჩნდება, შეგიძლია ის გასაუბრების დასაწყისში დაუსვა მიგრაციის სამსახურის თანამშრომელს.

რა არის
თავშესაფრის შესახებ გასაუბრება?

- თავშესაფრის შესახებ გასაუბრება არის ოფიციალური შეხვედრა საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელთან, სადაც თქვენ დეტალურად უნდა განმარტოთ მიზეზები, რის გამოც ითხოვთ საერთაშორისო დაცვას ფინეთში და რის გამოც არ შეგიძლიათ სამშობლოში დაბრუნება.
- გასაუბრებაზე განიხილება მხოლოდ საერთაშორისო დაცვის შესახებ შენი განაცხადი. თუ, ფინეთში ოჯახის წევრები გყავს, შეგიძლია მათთან ოჯახური კავშირის საფუძველზე მოითხოვო ბინადრობის უფლება. ამისთვის საჭიროა, რომ შეავსო ცალკე, ფასიანი ბინადობის ნებართვის განცხადება.

სად, როდის და როგორ ტარდება გასაუბრება?

- ამ ინსტრუქციასთან ერთად, თქვენ მიიღეთ მოწვევა გასაუბრებაზე. მასში მითითებულია სად, როდის და როგორ ჩატარდება თქვენი გასაუბრება.
- გასაუბრება იწერება და სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩანაწერი. ჩანაწერი კეთდება შესაძლო გაუგებრობების აღმოსაფხვრელად და საიმიგრაციო სამსახური მას უცხო პირებს არ გადასცემს.
- გასაუბრების ოთახში შეიძლება იყოს ჩამწერი ვიდეომეთვალყურეობის კამერა.
- გასაუბრების შესახებ დგება ოქმი.
- რასაც შენ მოყვები გასაუბრებაზე კონფიდენციალურია. შენი მოყოლილი ამბები არ მიეწოდება გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია საქმის განხილვისთვის — კერძოდ, იმ უფლებამოსილი ორგანოებს, რომლებსაც კანონით განსაზღვრული აქვთ ინფორმაციის მიღების უფლება.
- მოწვევაში მითითებული იქნება, თუ გასაუბრება ჩატარდება ვიდეოკავშირით. დამატებითი ინფორმაცია ვიდეოკავშირით ჩატარებული შეხვედრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საიმიგრაციო სამსახურის ვებგვერდზე.
- გასაუბრების გადადება დაუსაბუთებელი მიზეზით შეუძლებელია. თუ გასაუბრების დღეს ავად გახდით, დაუყოვნებლივ აცნობეთ საიმიგრაციო სამსახურს. საჭიროების შემთხვევაში დახმარებას მიიღებთ მიმღები ცენტრისგან. თქვენ უნდა წარმოადგინოთ დასაბუთებული მიზეზი, ან მიმღები ცენტრის ექთნის ან ექიმის ცნობა ავადმყოფობის შესახებ, რაც შეიძლება მალე, ან გასაუბრების დღიდან არაუგვიანეს 1 კვირისა. თუ გასაუბრებაზე არ გამოცხადდებით დასაბუთებული მიზეზის გარეშე, თქვენი განაცხადი ჩაითვლება ირიბად გაუქმებულად და საქმის განხილვა შეწყდება.

ვინ ესწრება გასაუბრებას?

გასაუბრებაზე შეიძლება მოვიდნენ მხოლოდ მოწვეული პირები და ისეთი სხვა პირები, რომლებზეც წინასწარ შეთანხმება მიგრაციის სამსახურთან იყო. გასაუბრებაზე ესწრება მიგრაციის სამსახურის თანამშრომელი — ანუ გამომკითხველი — და სიტუაციიდან გამომდინარე: თარჯიმანი, დამხმარე, წარმომადგენელი, მეურვე ან მხარდამჭერი პირი, თუ ამ უკანასკნელს გასაუბრებაზე სთხოვე და მიგრაციის სამსახურმა მას მონაწილეობის ნება დართო. გასაუბრების მონაწილეთა როლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლია იხილო მიგრაციის სამსახურის ვებგვერდზე: migri.fi/turvapaikanhakijan-asiointi.

რა უფლებები მაქვს გასაუბრებაზე?

- თქვენ გაქვთ უფლება გასაუბრებაზე ისარგებლოთ დამხმარის მომსახურებით. დამხმარე გასაუბრებაში მონაწილეობს საკუთარი შეხედულებისამებრ.

- თუ თქვენ ხართ სრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი, დამხმარე თავად უნდა მოიძიოთ. თუ დამხმარეს არ მოიყვანთ, გასაუბრებას მის გარეშე ჩავატარებთ.
- თუ თქვენ ხართ მეურვის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, თქვენი წარმომადგენელი ყოველთვის ესწრება გასაუბრებას. თქვენი წარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამხმარის მოყვანას. თუ წარმომადგენელი არ გყავთ, გასაუბრებას დაესწრება ფინეთში მყოფი თქვენი მეურვე.
- გასაუბრებაზე იმყოფება თარჯიმანი. თარჯიმნის ამოცანაა ობიექტურად თარგმნოს ყველაფერი, რაც ითქმება გასაუბრებაზე. თარჯიმანი შეიძლება იმყოფებოდეს ადგილზე ან თარგმნოს ტელეფონით ან ვიდეოკავშირით.
- თუ გაქვთ დასაბუთებული მიზეზი ისურვოთ, რომ თარჯიმანი, ან ინტერვიუერი იყოს ქალი ან მამაკაცი, აცნობეთ ამის შესახებ მიმღები ცენტრის თანამშრომელს გასაუბრებამდე კარგა ხნით ადრე. მიმღები ცენტრი თქვენს სურვილს გადასცემს საიმიგრაციო სამსახურს. საიმიგრაციო სამსახური შეაფასებს, არის თუ არა მიზეზი დასაბუთებული. თუ იმყოფებით დაკავების განყოფილებაში ან სხვა დაწესებულებაში, აცნობეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის თანამშრომელს. თუ ხართ მეურვის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, დახმარებისთვის მიმართეთ თქვენს წარმომადგენელს.
- გამსაუბრებელსა და გასაუბრებაზე დამსწრე სხვა პირებს აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, ანუ მათ არ აქვთ უფლება ვინმე გარეშე პირს უამბონ გასაუბრებაზე მოსმენილი. თუმცა, გასაუბრებაზე თქვენ მიერ ნათქვამმა ინფორმაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს თქვენი ოჯახის წევრის განაცხადის განხილვაზე. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ამას გავითვალისწინებთ თქვენი ოჯახის წევრის საქმეში. ჩვენ შეგვიძლია დავმალოთ თქვენ მიერ ნათქვამი ინფორმაცია ოჯახის წევრისგან, თუ მისი გამჟღავნება საფრთხეს ან ზიანს მოგიტანთ თქვენ ან თქვენს ახლობელს. თქვენ შეგიძლიათ გასაუბრებაზე გამოთქვათ საკუთარი აზრი ამის შესახებ.
- თქვენთან დაკავშირებული დოკუმენტები ძირითადად კონფიდენციალურია.
- თუ ხართ მეურვის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, საიმიგრაციო სამსახურს შეუძლია მოიძიოს, ანუ მოძებნოს თქვენი მშობელი ან სხვა ფაქტობრივი მეურვე. ფაქტობრივ მეურვეში იგულისხმება პირი, რომელიც თქვენზე სამშობლოში ზრუნავდა. მოსაძიებლად გამოიყენება მხოლოდ ძიებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. საიმიგრაციო სამსახური ძებნას ახორციელებს ისე, რომ არ მოგაყენოთ ზიანი თქვენ, ან თქვენს ახლობლებს. საიმიგრაციო სამსახური გასაუბრებაზე გკითხავთ თქვენს აზრს ძებნასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას, რომელიც შეიძლება დაეხმაროს ძიების პროცესში.

რა მოვალეობები მაქვს გასაუბრებაზე?

- თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ და თქვათ სიმართლე.
- თქვენ გაქვთ ვალდებულება განმარტოთ ყველა მიზეზი, რის გამოც ითხოვთ საერთაშორისო დაცვას. უპასუხეთ შეკითხვებს მაქსიმალური სიზუსტით.

  - თუ უარს იტყვით შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე დასაბუთებული მიზეზის გარეშე და ამის გამო გასაუბრებაზე ვერ მოხერხდება საკმარისი ინფორმაციის მიღება თქვენი თავშესაფრის საფუძვლების შესახებ, თქვენი განაცხადი ჩაითვლება ირიბად გაუქმებულად და საქმის განხილვა შეწყდება.

- თუ არ იტყვით სიმართლეს, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თქვენს განაცხადზე. თქვით სიმართლე და ნუ დაფარავთ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი განაცხადისთვის.
- გაითვალისწინეთ, რომ არასწორი ინფორმაციის მიწოდებამ, ან რეალური ინფორმაციის დამალვამ, მოგვიანებით შესაძლოა გამოიწვიოს უკვე გაცემული ნებართვის გაუქმება და გაართულოს თქვენი სხვა საქმეების განხილვა.
- ინტერვიუერი დაგეხმარებათ და მიგითითებთ თქვენი საფუძვლების გადმოცემაში შეკითხვების დასმით. ეს ასევე მოიცავს შესაძლო სენსიტიურ და რთულ საკითხებს. თქვენს ინტერესებშია რთული საკითხების შესახებაც საუბარი. მათ შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ თქვენი განაცხადისთვის.
  - თუ თქვენთვის რთულია ზოგიერთ საკითხზე საუბარი, შეგიძლიათ ამის შესახებ აცნობოთ გამსაუბრებელს. მნიშვნელოვანია, რომ ისაუბროთ თქვენს განაცხადთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რადგან გადაწყვეტილება დაეფუძნება გასაუბრებაზე თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.
- თუ გამსაუბრებელი შეამჩნევს გაუგებრობებს, ან წინააღმდეგობებს თქვენს ნათქვამში, მოგეცემათ შესაძლებლობა განმარტოთ საკითხი.
- თქვენი პერსონალური მონაცემები მოწმდება გასაუბრებაზე. პერსონალური მონაცემები პირველ რიგში ეფუძნება დოკუმენტებს. თუ გასაუბრების შემდეგ გსურთ თქვენი პერსონალური მონაცემების შეცვლა, ამისთვის დაგჭირდებათ პასპორტი ან სხვა ოფიციალური პირადობის მოწმობა.
- საიმიგრაციო სამსახური თქვენს პერსონალურ მონაცემებს და განაცხადის საფუძვლებს ინახავს უცხოელთა საქმეების წარმოების სისტემაში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო რეესტრს.
- ხელისუფლებისთვის ყალბი პერსონალური მონაცემების მიწოდება ან სახელმწიფო რეესტრში შესატანად მცდარი ინფორმაციის მიწოდება არის დანაშაული, რომელიც ისჯება. ფინეთში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება 15 წელს მიღწეულ პირებზე.

როგორ მოვემზადო გასაუბრებისთვის?

- გასაუბრებაზე თქვენი სიტყვებით უნდა განმარტოთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის საფუძვლები. გასაუბრებისთვის შეგიძლიათ მოემზადოთ მნიშვნელოვანი თარიღებისა და სახელების ჩაწერით. წინასწარ მომზადების შემთხვევაში გაგიადვილდებათ თქვენს მიერ გადატანილი შემთხვევების შესახებ საუბარს.
- გასაუბრებაზე თან იქონიეთ თქვენს განაცხადთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რომელიც ჯერ არ გაქვთ წარდგენილი საიმიგრაციო სამსახურში. მოემზადეთ მოკლედ

განმარტოთ, როგორ უკავშირდება დოკუმენტები თქვენს თავშესაფრის საფუძვლებს. დოკუმენტები შეიძლება იყოს, მაგალითად, პირადობის მოწმობები, სხვა სახელმწიფო დოკუმენტები, სამედიცინო ცნობები, ასევე საგაზეთო სტატიები და პუბლიკაციები, რომლებიც ეხება თქვენს ისტორიას. დოკუმენტები მნიშვნელოვანია იმ მიზეზითაც, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ერთად ფასდება, გაქვთ თუ არა ბინადრობის ნებართვის მიღების საფუძველი სხვა მიზეზით, მაგალითად, ინდივიდუალური ჰუმანიტარული საფუძვლით.

- გასაუბრებამდე გაეცანით ყველა ინსტრუქციასა და ბროშურას, რომელიც მიიღეთ სახელმწიფო ორგანოებისგან.
- დარწმუნდით, რომ გასაუბრებაზე დროულად მიხვალთ. მიმღები ცენტრისგან მიიღებთ ინსტრუქციებს ადგილზე მისვლასთან დაკავშირებით. თუ ხართ მეურვის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, მიმღები ცენტრი უზრუნველყოფს თქვენს მისვლას გასაუბრებაზე. თუ ფინეთში გყავთ მეურვე, მისი მოვალეობაა უზრუნველყოს თქვენი გამოცხადება გასაუბრებაზე.
- გახსოვდეთ, რომ გასაუბრება შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათს. შუალედში იქნება შესვენება სადილისთვის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესვენებებიც. ყოველთვის შეგიძლიათ მოითხოვოთ შესვენება. თან იქონიეთ საკვები, ან სადილის ფული და წამლები, რომლებიც შესაძლოა დაგჭირდეთ დღის განმავლობაში.
- ბავშვების წამოყვანა დაუშვებელია, თუ ისინი არ არიან მოწვეულნი გასაუბრებაზე. თუ გჭირდებათ ბავშვის მომვლელი გასაუბრების პერიოდში, აცნობეთ ამის შესახებ თქვენს მიმღებ ცენტრს წინასწარ.
- თუ გაქვთ განსაკუთრებული საჭიროებები გასაუბრებისთვის, მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დაუყოვნებლივ აცნობეთ მიმღებ ცენტრს. შეგიძლიათ მოითხოვოთ დახმარება ტრავმის ან ჯანმრთელობის პრობლემის გამო, ან მხარდაჭერა, თუ ხართ ტრეფიკინგის მსხვერპლი. თუ ხართ მეურვის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, დახმარება სთხოვეთ თქვენს წარმომადგენელს. თუ იმყოფებით დაკავების განყოფილებაში ან სხვა დაწესებულებაში, აცნობეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის თანამშრომელს. მიმღები ცენტრი, წარმომადგენელი ან დაკავების განყოფილება შეიძლება დაუკავშირდეს საიმიგრაციო სამსახურს გასაუბრებამდე.
- გასაუბრება არ ჩატარდება, თუ საიმიგრაციო სამსახური მიიჩნევს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მასში მონაწილეობა თქვენგან დამოუკიდებელი მუდმივი მიზეზების გამო. ამ შემთხვევაშიც გაქვთ შესაძლებლობა მიაწოდოთ საიმიგრაციო სამსახურს დამატებითი ინფორმაცია წერილობით.

რა ხდება გასაუბრებაზე?

- თავდაპირველად ინტერვიუერი აგიხსნით, რა ხდება გასაუბრებაზე. ინტერვიუერი დარწმუნდება, რომ თქვენ გაიგეთ ამ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი თქვენი უფლებები და მოვალეობები. საჭიროების შემთხვევაში ინტერვიუერი თავად გაგაცნობთ მათ. დასვით შეკითხვა, თუ რამეს ვერ გაიგებთ.

- ინტერვიუერი გკითხავთ, გესმით თუ არა ერთმანეთის თქვენ და თარჯიმანს. თქვით, თუ ვერ უგებთ თარჯიმანს.
- ინტერვიუერი გადაამოწმებს, ხომ არ შეიცვალა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამის შემდეგ ინტერვიუერი გადახედავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და შეიძლება დაგისვათ კითხვები თქვენი წარსულის შესახებ.
- ყურადღებით მოუსმინე გამსაუბრებლის მიერ მოცემულ მითითებებს.
- შემდეგ გაირკვევა, რატომ მოგიწიათ სამშობლოდან გამოქცევა და რატომ ვერ ბრუნდებით იქ. გამსაუბრებელი მოგიწოდებთ თავისუფლად და დეტალურად ისაუბროთ იმ მიზეზებზე, რის გამოც ითხოვთ საერთაშორისო დაცვას. ინტერვიუერი ასევე საჭიროებისამებრ დაგეხმარებათ ისაუბროთ თქვენი განაცხადისთვის არსებით საკითხებზე.
- მას შემდეგ, რაც განმარტავთ თქვენი განაცხადის მიზეზებს, გამსაუბრებელი დაგისვამთ დამაზუსტებელ კითხვებს არსებითი საკითხების გამოსარკვევად.
- გამსაუბრებელმა შეიძლება გკითხოთ უფრო დეტალურად თქვენი საცხოვრებელი ადგილის, ან სხვა თემების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს თქვენი საქმის განხილვისთვის.
- თუ რომელიმე კითხვას ვერ გაიგებთ, აცნობეთ გამსაუბრებელს. გამსაუბრებელი განგიმარტავთ კითხვას.
- გასაუბრების ხანგრძლივობა განსხვავებულია. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ შესვენება გასაუბრების ნებისმიერ ეტაპზე.
- საიმიგრაციო სამსახურმა გასაუბრებაზე შეიძლება მოგისმინოთ ისეთ გარემოებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენი საქმის გადაწყვეტაზე. მაგალითად, თუ თქვენ ეჭვმიტანილი ხართ დანაშაულში ფინეთში ან მსჯავრდებული ხართ დანაშაულისთვის ფინეთში, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს საიმიგრაციო სამსახურში საქმის განხილვაზე. საჭიროების შემთხვევაში საიმიგრაციო სამსახური მოგცემთ შესაძლებლობას გამოთქვათ თქვენი აზრი ამ საკითხზე.
- გასაუბრების შესახებ დგება ოქმი. გამსაუბრებელი თქვენთან ერთად გადახედავს ოქმს ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ საიმიგრაციო სამსახური ამას საჭიროდ მიიჩნევს. თუ გამსაუვრებელი არ გადახედავს ოქმს თქვენთან ერთად გასაუბრებაზე მთლიანად, თქვენ მოგეცემათ ვადა, რომლის განმავლობაშიც შეგიძლიათ გაგზავნოთ დამატებები და შესწორებები ოქმში. თქვენ გადმოგეცემათ ოქმის ასლი.
- გასაუბრების ბოლოს მიიღებ ინსტრუქციას, რომლის ბმულებიდან შეგიძლია მიიღო დამატებითი ინფორმაცია, სხვა საკითხებთან ერთად, საიმიგრაციო სამსახურში მასალების წარდგენის და სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. ბმულებზე წვდომა ასევე შეგიძლია ამ QR-კოდების საშუალებით:

- მნიშვნელოვანია, რომ გასაუბრებაზე განმარტოთ თქვენი განაცხადის ყველა საფუძველი. თუ გასაუბრების შემდეგ გაგიჩნდებათ ახალი საფუძვლები, ან გსურთ ახალი ინფორმაციის მიწოდება წინა საფუძველთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ აცნობეთ საიმიგრაციო სამსახურს, ან სასამართლოს, რომელიც განიხილავს თქვენს საჩივარს.

რა ხდება გასაუბრების შემდეგ?

- ჩვენ ვცდილობთ გასაუბრება დასრულდეს მისთვის გამოყოფილ დროში. თუ გასაუბრება ვერ დასრულდა, ის გაგრძელდება სხვა დღეს. ასეთ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ გასაუბრების ახალ მოწვევას.
- თქვენ შეგიძლიათ გამოაგზავნოთ დამატებითი განმარტებები თქვენს განაცხადთან დაკავშირებით მანამ, სანამ არ მიიღებთ გადაწყვეტილებას. გაითვალისწინეთ, რომ ვადის გასვლის შემდეგ გამოგზავნილი დამატებითი განმარტებები შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული გადაწყვეტილებაში. დამატებითი განმარტებები წარადგინეთ წერილობით.
- საიმიგრაციო სამსახური განიხილავს თქვენს განაცხადს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მოგენიჭოთ საერთაშორისო დაცვა, ან ბინადრობის ნებართვა სხვა საფუძვლით, მაგალითად ინდივიდუალური ჰუმანიტარული მიზეზით, ან ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო.
- საიმიგრაციო სამსახური იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე გასაუბრებაზე მოწოდებული ინფორმაციის, სხვა წარმოდგენილი მასალებისა და ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. საიმიგრაციო სამსახურს ასევე შეუძლია მოიძიოს გადაწყვეტილებისთვის არსებითი ინფორმაცია საჯარო წყაროებიდან.
- საჭიროების შემთხვევაში საიმიგრაციო სამსახურმა შეიძლება მოიპოვოს ინფორმაცია თქვენი დოკუმენტების ნამდვილობის შესახებ თქვენი სამშობლოდან. თქვენი ქვეყნის ხელისუფლება ვერ შეიტყობს ამის შესახებ და მოკვლევა არ შეგიქმნით საფრთხეს თქვენ, ან თქვენს ახლობლებს.
- თუ თქვენი განაცხადი არ დაკმაყოფილდება, შეიძლება მოხდეს თქვენი დეპორტაცია და დაგიწესდეთ შესვლის აკრძალვა ფინეთსა და შენგენის შეთანხმების სხვა ქვეყნებში.
- თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მოითხოვოთ ხელშეწყობილი ნებაყოფლობითი დაბრუნება სამშობლოში თავშესაფრის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. თუ თქვენი განაცხადი უარყოფილია ან თქვენ გააუქმებთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნას, გაქვთ უფლება მოითხოვოთ ფინანსური მხარდაჭერა ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის. ფინანსური მხარდაჭერის გაცემას აქვს გარკვეული პირობები და ისინი მოწმდება განაცხადის წარდგენისას. რჩევისთვის

მიმართეთ თქვენს მიმღებ ცენტრს ან იხილეთ ინფორმაცია და საკონტაქტო მონაცემები საიმიგრაციო სამსახურის დაბრუნების კონსულტაციის ვებგვერდზე.

migri.fi/paluu tai **voluntaryreturn.fi/etusivu**

- თუ გსურთ გადაწყვეტილების გასაჩივრება, გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს იხილავთ გადაწყვეტილების დანართში.
- თუ საერთაშორისო დაცვა მოითხოვეთ მეუღლესთან, არასრულწლოვან შვილებთან, ან კმაყოფაზე მყოფ სრულწლოვანთან ერთად, როგორც წესი, მიიღებთ ერთობლივ გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საიმიგრაციო სამსახური ჩათვლის, რომ თქვენს საქმეში დასაბუთებულია ცალკეული გადაწყვეტილებების მიღება. გამსაუბრებელი გასაუბრებაზე გკითხავთ, გაქვთ თუ არა მიზეზები, რის გამოც ისურვებდით ცალკეულ გადაწყვეტილებებს.
- თუ მოგვიანებით გაგიჩნდებათ თავშესაფრის ახალი საფუძვლები, დაუყოვნებლივ აცნობეთ საიმიგრაციო სამსახურს ან სააპელაციო სასამართლოს. თუ არ წარადგენთ ახალ გარემოებებს, ან საფუძვლებს მაშინვე, როცა ამის შესაძლებლობა გექნებათ, შესაძლებელია ისინი აღარ იქნას გამოკვლეული, თუ მათ საფუძველზე მოგვიანებით შეიტანთ ახალ განაცხადს.